დანართი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2018 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების სამსახურმა 2018 წელში განახორციელა საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის", საქართველოს კაონის - ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და სამსახურის დებულების შესაბამისად ყველა უფლებამოსილება.

სამსახური თავის ფუნქციას ასრულებდა 4 საშტატო ერთეულით: ერთი სამსახურის უფროსი და სამი სპეციალისტით სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში.

სპეციალისტებს გავლილი აქვთ კვალიფიკაციის კურსები, აქვთ შესაბამისი სერთიფიკატები და თავიანთ მოვალეობებს დამაკმაყოფილებლად ასრულებენ. შესასრულებელი სამუშაო რთულია, მოცულობითი და მოითხოვს მეტ შრომით რესურსს. ელექტრონულ სისტემაში განსათავსებელია საკმაოდ დიდი მოცულობის დოკუმენტაცია და მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვნად შევამცირეთ დოკუმენტების სისტემაში განთავსების ვადები. სამსახურმა წარმატებით გაართვა თავი მის წინაშე დასმულ ყველა ამოცანას წარმატებით განახორციელა სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გათვალისწინებული შესყიდვები და შეუფერხებლად უზრუნველყო წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების სამსახურების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

2018 წელს შესყიდვები ხორციელდებოდა საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად მონეტარული ზღვრების სრული დაცვით. ადგილი არ ქონია ხელოვნური დაყოფის არცერთ შემთხვევას და არ მიგვიღია შენიშვნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან. 2018 წელში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა 361.4 ათასი ლარის შესყიდვა, სახელმწიფო ბიუჯეტით 5495,3 ათასი ლარის, კერძოდ:

2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებით (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ) ბოლო დაზუსტებით გამოყოფილი იყო - 3348,9 ათასი ლარი, გაფორმდა 19 ხელშეკრულება.

2017 წლის 27 დეკემბრის N2712 განკარგულებით (სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების შესახებ) გამოყოფილი თანხაა - 2500,0 ათასი ლარი. აღნიშნული განკარგულებით გაფორმდა - 70 ხელშეკრულება.

2018 წლის 3 მაისის N955 განკარგულებით (მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფორნდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 71,0 ათასი ლარი, აღნიშნული განკარგულებით გაფორმდა 1 ხელშეკრულება.

2018 წლის 15 თებერვლის N410 განკარგულებით (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 64,1 ათასი ლარი, აღნიშნული განკარგულებით გაფორმდა 4 ხელშეკრულება.

2018 წლის 13 დეკემბრის N2367 განკარგულებით (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს გამოეყო - 300,0 ათასი ლარი, აღნიშნული განკარგულებით გაფორმდა - 4 ხელშეკრულება.

სულ დადებული იქნა 261 ხელშეკრულება, გამარტივებული შესყიდვით 110 ხელშეკრულება, ელექტრონული ტენდერით - 131, კონსოლიდირებული ტენდერით - 20 შესყიდვა.

სულ ჩატარებული იქნა 149 ელექტრონული ტენდერი, მათ შორის: არშედგა 12, უარყოფითი შედეგით დასრულდა - 4, შეწყვეტილი იქნა - 2 ელექტრონული ტენდერი.

ტენდერში მონაწილეთა საშუალო რაოდენობამ შეადგინა 1,64

მონაწილე.

ელექტრონული ტენდერებით შესყიდვების განხორციელებას ახორციელებდა მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სატენდერო კომისია 5 კაცის შემადგენლობით და სატენდერო კომისიის აპარატი - 4 კაცის შემადგენლობით, სულ ჩატარებულია კომისიის 202 სხდომა.

სააგენტოსთვის საჩივრით არ მიუმართავს არცერთ პრეტენდენტს. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები იყო სამართლიანი და არადისკრიმინაციული.

ხელშეკრულების პირობების შესრულებას და მიღება-ჩაბარების აქტების შედგენას ახდენდა მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი 5 კაცის

შემადგენლობით. დღეის მდგომარეობით დასრულებულია ყველა ხელშეკრულება, გარდა ერთისა: სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N231, ხელშეკრულების საგანი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ზომლეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ ვანში შიდა გზაზე ა/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულება - 493888 ლარი, შესრულების ვადა - 2019 წლის 11 თებერვალი.

შესრულებულ სამუშაოებზე მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად არის შესრულებულ სამუშაოებზე ექსპერტების დასკვნები. შესრულებული სამუშაოების ხარისხი არის დამაკმაყოფილებელი. ინსპექტირების ჯგუფი ადგილზე გასვლით საზედამხედველო ორგანიზაციასთან ერთად ახორციელებს ობიექტების ინსპექტირებას.

სამსახურის სპეციალისტები მონაწილეობას ღებულობენ დამატებით სხვადასხვა კომისიების მუშაობაში. შეუფერხებლად ვთანამშრომლობთ საკრებულოს კომისიებთან და დეპუტატებთან. არ ყოფილა შემთხვევა დროულად არ გაგვეცეს ჩვენთვის დასმულ შეკითხვებზე პასუხი და შეუფერხებლად ვაწვდიდით ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას. კონსულტაციებს ვუწევთ მუნიციპალიტეტის სხვა ორგანიზაციებს - ა(ა)იპ-ებს სახელმწიფო შესყიდვების კუთხით. სამსახური თანამშრომლობს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან კანონ შემოქმედებით ღონისძიებებში.